ხელშეკრულება № 3
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(მომსახურების შესყიდვა)

ქ. თბილისი 22 აპრილი 2015 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის (შემდგომში-შემსყიდველი), მისი დირექტორი თამაზ ანდღულაძის სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში-მიმწოდებელი) შპს "იქს ვაი ზეტ არქიტექტს"-ს სახით, ვხელმძღვანელობთ რა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული პროგრამის თანამედროვე ხელოვნების განვითარების პროგრამის 08 04 02-ის ფარგლებში ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. 2015 წლის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის, ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტი: ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის საკონცერტო დარბაზის საინუინრო-საპროექტო (საერთო ფართი 350^{82}) მომსახურების შესყიდვა (**cpv** - 71320000), რაც მოწოდებულია ინვოისის ჩამონათვალში.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი: საკონცერტო დარბაზის ინტერიერის კორექტირება - 1100 ლარი; ელექტრო მომარაგების ღირებულება 1500 ლარი; გათბობა ვენტილაციის ღირებულება 1500 ლარი; ხარჯთაღრიცხვა 600 ლარი **cpv** –71324000 ; საპროექტო სამუშაოების არქიტექტურული ზედამხედველობა 250 ლარი **cpv** – 71248000 ;

2.2 შესყიდვის ობიექტის პროექტისა და ზედამხედველობის საერთო ღირებულებაა:4950 (ოთხიათას-ცხრაასორმოცდაათი)ლარი. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 22 აპრილიდან 30 მაისამდე.

4.2. შესყიდვის მიწოდების ადგილია: ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე, დ.აღმაშენებლის გამზირი №103.

5. შესყიდვის მიღება - ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ, საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

6.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში. შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 2015 წლის 30 მაისამდე.

6.2 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშერულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ(დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითივადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 მაისამდე.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებანი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია დამკვეთი ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქ.თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის დირექტორი თამაზ ანდღულაძე.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შეწუნდების მიზეზების მითითებით გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია: ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„ შემსყიდველი"

"ქართული ფოლკლორის
მოსწავლეთა სასახლე"
ს/კ 202056069
მის: დ. აღმაშენებელის №103

ა/ა **GE24NB0330100200165022**
ბ/კ TRESGE22
ტელ: 295 94 73

დირექტორი:

თამაზ ანდღულაძე

„მიმწოდებელი"

შპს "იქს ვაი ზეტ არქიტექტს"
ს/კოდი 204566656
მის: ქ.თბილისი, კ.მესხის ქ№15

სს "თიბისი ბანკის" მთაწმინდის
სერვისცენტრი №2
ა/ა **GE50TB4999836050100007**
ბ/კ **TBCBGE22**
ტელ: 555 24 55 24

დირექტორი:

შალვა ლეკიაშვილი